

ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია

ინსტრუქციის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის ქვაკუთხედს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა წარმოადგენს.

ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის რეალიზება ხელს უწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.

დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA მიდგომას:

- P – Plan - დაგეგმე;
- D – Do - განახორციელე;
- C – Check - შეამოწმე;
- A – Act - განავითარე (მოახდინე რეაგირება).

მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ. PDCA პროცესი ყოველთვის შეიძლება თავიდან გაანალიზდეს და დაიწყოს ახალი ციკლი.

დაგეგმე

1. გეგმა:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- სწავლების პროცესის შეფასება;
- სწავლების შედეგების ანალიზი;

2. მოკლევადიანი გეგმები:

- საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის განვითარება-მოდულიზაცია;
- ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების პერიოდული შესწავლა და შესაბამისად პროგრამის განვითარება-მოდულიზაცია;
- ახალი კვალიფიციური კადრის მოძიება და აკადემიური პერსონალის შევსებაზე და პროფესიულ ზრდაზე ფიქრი;
- სწავლების თანამედროვე მიღწევების ანალიზი სასწავლო პროცესში მისი დანერგვის მიზნით;

3. გრძელვადიანი გეგმები:

- საერთაშორისო დასაქმების ბაზრის კვლევა და შესაბამისად პროგრამის განვითარება-მოდულიზაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა და შესაბამისად პროგრამის განვითარება-მოდულიზაცია;
- ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შემუშავება პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- საერთაშორისო კვლევებში ჩართვა;

განხორციელებ-შეამოწმე

4. პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით დაგეგმილი მიმდინარე შეფასებები:

- ლექციების მიმდინარეობის პერიოდული მონიტორინგი;
- სილაბუსით დაგეგმილი სასწავლო აქტივობების შესრულების პერიოდული მონიტორინგი;

4.1 განხორციელების მექანიზმი:

4.1.1 სტუდენტებისთვის “ჩემი UG” სივრცეში გამოყოფილია ადგილი, სადაც ისინი ღიად დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს და მიმდინარე პრობლემებს:

- მისაღებია თუ არა მათთვის სემესტრში შეთავაზებული დატვირთვა?
- რამდენად გასაგებია მათთვის სასწავლო კურსის ფარგლებში მიწოდებული სალექციო მასალა?
- რამდენად ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა?
- რამდენად მისაღებია ცხრილი, ლექციებისა და შესვენების ხანგრძლივობა?
- არის თუ არა გასაგები და ნათლად ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები?
- არის თუ არა სწავლების მეთოდი იმ მასალის ადექვატური, რასაც სთავაზობს ლექტორი?
- რჩება თუ არა გაუგებარი საკითხები ლექციის დასრულების შემდეგ?
- რამდენად დროულად ხდება შეფასების მიწოდება და ეთანხმებიან თუ არა მიღებულ შედეგებს?
- არის თუ არა კომფორტული ის გარემო, რომელშიც სტუდენტებს უხდებათ სწავლა?
- არის თუ არა გამოსაკითხი მასალა და მიწოდებული მასალა თანხვედრაში?
- რამდენად მოცულობითია სასწავლო მასალა და ასწრებენ თუ არა მის მომზადებას სილაბუსში მითითებული გეგმის მიხედვით?

4.1.2 აკადემიური პერსონალისათვის “online UG” სივრცეში გამოყოფილია ადგილი, სადაც ისინი ღიად დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს და მიმდინარე პრობლემებს:

- მისაღებია თუ არა მათთვის სემესტრში შეთავაზებული დატვირთვა?
- არის თუ არა კომფორტული ის გარემო, რომელშიც უხდებათ სწავლება?
- ხელმისაწვდომია თუ არა მათთვის სალექციო კურსების მოსამზადებლად საჭირო მასალები?
- ხელმისაწვდომია თუ არა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი?
- იღებენ თუ არა სათანადო დახმარებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან?
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობიდან გამომდინარე თვლიან თუ არა, რომ უნდა გადაიხედოს:
 - ა) სასწავლო მასალა;
 - ბ) სასწავლო კურსის დატვირთვა;
 - გ) სწავლების მეთოდები და აქტივობები;
 - დ) შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
 - ე) მითითებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო მასალა.

5. პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით გათვალისწინებულია სემესტრული შეფასების შემდეგი ფორმები:

- სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორისთვის;
- სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის;
- ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის;

- სემესტრში შეთავაზებული სასწავლო კურსების პრიორიტეტულობის განმსაზღვრელი კითხვარი (იყო თუ არა რომელიმე სასწავლო კურსი სასწავლო პროგრამის მიზნებთან შეუსაბამო);
- მომდევნო სემესტრში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი (რა მოლოდინები აქვთ, თვლიან თუ არა რომ საჭიროა გეგმაში ცვლილება, რა სახის ცვლილებას ისურვებდნენ და რატომ?)
- კითხვარი სტუდენტებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ;
- კითხვარი ლექტორებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ, რეცენზენტობის, ხელმძღვანელობის შესახებ.

5.1 უნივერსიტეტში წარმოებს სტუდენტთა შეფასებების რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი, სასწავლო კურსების, სტუდენტთა ჯგუფების მიხედვით;

6. პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- გამოკითხვა კურსდამთავრებულებთან:
 - ა) სასწავლო გეგმით შეთავაზებული ყველაზე სასარგებლო და ყველაზე უსარგებლო სასწავლო კურსები;
 - გ) სამომავლო გეგმები (სწავლა: საქართველოში, საზრვარგარეთ, დასაქმება);
- გამოკითხვა დასაქმებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (იყო თუ არა პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები დასაქმების ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი, დაეხმარა თუ არა მათ მიღებული განათლება კარიერულ წინსვლაში, იყო თუ არა ღიად დარჩენილი საკითხები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული სასწავლო პროგრამაში და აუცილებელი აღმოჩნდა სამუშაო ადგილზე);
- დამსაქმებლებთან გამოკითხვა (სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ თუ არა შესაბამისი ცოდნა და კომპეტენციები, რაც საჭიროა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, რა საკითხების დამატებას ისურვებდნენ საგანმანათლებლო პროგრამაში ამ უნარების გასამდიერებლად)

6.1 უნივერსიტეტში წარმოებს სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი - პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის, მიღებული კონტინგენტის და კურსდამთავრებულთა რაოდენობების ფარდობა. წარმატებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობები მაღალი, საშუალო და დაბალი აკადემიური მოსწრების მიხედვით, მობილობით გადმოსული და გადასული სტუდენტების რაოდენობა, სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა.

განავითარე

7. შემოწმების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია:

- მოდიფიკაცია განიცადოს სასწავლო კურსის სილაბუსმა;
- მოდიფიკაცია განიცადოს სასწავლო პროგრამამ;
- შეიცვალოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა;
- შეიცვალოს უნივერსიტეტში ადმინისტრირების გზები და მეთოდები;
- შეიცვალოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აუცილებელი აქცენტი გაკეთდება ბიბლიოთეკაზე);
- მოძიებულ იქნეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პარტნიორები;
- მოძიებულ იქნეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კვლევითი პროექტები.

8. წინამდებარე ინსტრუქცია განკუთვნილია საქართველოს უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განსხვავებული წესის/გამოკითხვის ფორმის დადგენა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ინსტრუქციის მიზანს.

“ჩემი UG” სივრცეში განსათავსებელი კიბთვარი სტუდენტებისათვის

- მისაღებია თუ არა თქვენთვის სემესტრში შემოთავაზებული დატვირთვა?
 - კი
 - არა
- რამდენად გასაგებია თქვენთვის სასწავლო კურსის ფარგლებში მოწოდებული სალექციო მასალა?
 - გასაგებია
 - არ არის გასაგები
- რამდენად ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა?
 - ხელმისაწვდომია
 - არ არის ხელმისაწვდომი
- რამდენად მისაღებია ცხრილი, ლექციებისა და შესვენების ხანგრძლივობა?
 - მისაღებია
 - არ არის მისაღები
- არის თუ არა გასაგები და ნათლად ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები?
 - კი
 - არა
- არის თუ არა სწავლების მეთოდი იმ მასალის ადექვატური, რასაც გთავაზობთ ლექტორი?
 - კი
 - არა
- რჩება თუ არა გაუგებარი საკითხები ლექციის დასრულების შემდეგ?
 - კი
 - არა
- რამდენად დროულად ხდება შეფასების მოწოდება და ეთანხმებით თუ არა მიღებულ შედეგებს?
 - კი
 - არა
- არის თუ არა კომფორტული ის გარემო, რომელშიც სტუდენტებს უხდებათ სწავლა?
 - კი
 - არა
- არის თუ არა გამოსაკითხი მასალა და მიწოდებული მასალა თანხვედრაში?
 - კი
 - არა
- რამდენად მოცულობითია სასწავლო მასალა და ასწრებთ თუ არა მის მომზადებას სილაბუსში მითითებული გეგმის მიხედვით?
 - კი
 - არა

“online UG” სივრცეში განსათავსებელი კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის

- მისაღებია თუ არა თქვენთვის სემესტრში შემოთავაზებული დატვირთვა?
 - კი
 - არა
- არის თუ არა კომფორტული ის გარემო, რომელშიც გიხდებათ სწავლება?
 - კი
 - არა
- ხელმისაწვდომია თუ არა თვენთვის სალექციო კურსების მოსამზადებლად საჭირო მასალები?
 - კი
 - არა
- ხელმისაწვდომია თუ არა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი?
 - კი
 - არა
- იღებთ თუ არა სათანადო დახმარებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან?
 - კი
 - არა
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობიდან გამომდინარე თვლით თუ არა, რომ უნდა გადაიხედოს:
 - ა) სასწავლო მასალა;
 - კი
 - არა
 - ბ) სასწავლო კურსის დატვირთვა;
 - კი
 - არა
 - გ) სწავლების მეთოდები და აქტივობები;
 - კი
 - არა
 - დ) შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
 - კი
 - არა
 - ე) მითითებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო მასალა.
 - კი
 - არა

სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისათვის

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო კურსის დასახელება:

სასწავლო კურსის დონე:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსაკვიტარებელი კომპეტენციები:

1. სწავლის შედეგები:.....

2. სწავლების მეთოდები და აქტივობები:.....

3. სტუდენტის დატვირთვა:.....

4. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები:.....

სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო კურსის დასახელება:

სასწავლო კურსის დონე:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. სწავლის შედეგები:.....

2. სწავლების მეთოდები და აქტივობები:.....

3. სტუდენტის დატვირთვა:.....

4. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები:.....

ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის

საგანმანათლებლო პროგრამა:

სასწავლო კურსის დასახელება:

სასწავლო კურსის დონე:

ლექტორის სახელი, გვარი:

შეფასეთ შესაბამისი შკალით: 1=ძალიან კარგი, 2=კარგი, 3= საშუალო, 4=ცუდი, 5=ძალიან ცუდი

N	კითხვა	1	2	3	4	5
1	კომპეტენტურია და ფლობს შესაბამის ცოდნასა და უნარებს					
2	შეუძლია ჩაერთოს ინტერდისციპლინურ დისკუსიაში					
3	მიყვება სილაბუსს					
4	პუნქტუალურია და იცავს სალექციო განრიგს					
5	ფლობს აუდიტორიას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას					
6	იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს					
7	იცნობს დარგის თანამედროვე მიღწევებს					
8	აქვს მასალის გადმოცემის უნარი					
9	სამართლიანია					
10	პრინციპულია					
11	კონტაქტურია					
12	კრეატიულია					
13	ეხმარება სტუდენტებს სასწავლო მასალის ათვისებაში					
14	დროულად აცნობს სტუდენტებს შეფასებებს					
15	საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს აწვდის დამატებით ინფორმაციას მიღებული შეფასების შესახებ					
დამატებითი სიტყვიერი შეფასება						

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი

საგანმანათლებლო პროგრამა:

სწავლების საფეხური:

სწავლების წელი/წლები:

შეფასეთ შესაბამისი შკალით: 1=ძალიან კარგი, 2=კარგი, 3= საშუალო, 4=ცუდი, 5=ძალიან ცუდი

N	სასწავლო კურსი	პრიორიტეტულობა დალაგეთ რიგითობის მიხედვით	სასწავლო კურსი სასწავლო პროგრამის მიზნების შესაბამისია				
			1	2	3	4	5
1							
2							
3							
4							

რომელი სასწავლო კურსის ამოღებას ისურვებდით სასწავლო გეგმიდან და მის ნაცვლად რომელი სასწავლო კურსის დამატებას ისურვებდით და რატომ?

კითხვარი სტუდენტებისთვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამა:

სწავლების საფეხური:

სწავლების წელი:

სტუდენტის სახელი, გვარი:

N	კითხვა	დიახ	არა
1	მონაწილეობდით თუ არა კვლევით პროექტში?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: პროექტის დასახელება, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი		
2	მონაწილეობდით თუ არა სამეცნიერო კონფერენციაში?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: კონფერენციის დასახელება, თარიღი		
3	გამოაქვეყნეთ თუ არა სტატია?		
	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: სტატიის დასახელება, თარიღი, ჟურნალის/გაზეთის/წიგნის დასახელება		

კითხვარი ლექტორებისათვის კვლევით პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესახებ, გამოქვეყნებული სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის სტატიების შესახებ, რეცენზენტობის, ხელმძღვანელობის შესახებ

1. საგანმანათლებლო პროგრამა:
2. სწავლების საფეხური:
3. აკადემიური თანამდებობა:
4. ლექტორის სახელი, გვარი:.....

N	კითხვა	დიახ	არა
1	<p>მონაწილეობდით თუ არა კვლევით პროექტში?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: პროექტის დასახელება, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი</p>		
2	<p>მონაწილეობდით თუ არა სამეცნიერო კონფერენციაში?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: კონფერენციის დასახელება, თარიღი</p>		
3	გამოაქვეყნეთ თუ არა სტატია?		

	დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ: სტატის დასახელება, თარიღი, ჟურნალის/გაზეთის/წიგნის დასახელება
4	იყავით თუ არა რეცენზენტი (ექპერტი)? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ სტუდენტთა რაოდენობა
5	იყავით თუ არა ხელმძღვანელი? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ სტუდენტთა რაოდენობა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 აგვისტოს 35-14 ოქმით

საგანმანათლებლო პროგრამა:.....

სასწავლო კურსის დასახელება:.....

სასწავლო კურსის დონე:.....

ლექტორის სახელი, გვარი:.....

N	კითხვა	პასუხი
1	სასწავლო გეგმით შეთავაზებული ყველაზე სასარგებლო და ყველაზე უსარგებლო სასწავლო კურსები	
2	სამომავლო გეგმები (სწავლა: საქართველოში, საზრვარგარეთ, დასაქმება);	

გამოკითხვა დასაქმებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

საგანმანათლებლო პროგრამა:.....

სასწავლო კურსის დასახელება:.....

სასწავლო კურსის დონე:.....

ლექტორის სახელი, გვარი:.....

N	კითხვა	პასუხი
1	იყო თუ არა პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები დასაქმების ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი	
2	დაგეხმარათ თუ არა მათ მიღებული განათლება კარიერულ წინსვლაში	
3	იყო თუ არა ღიად დარჩენილი საკითხები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული სასწავლო პროგრამაში და აუცილებელი აღმოჩნდა სამუშაო ადგილზე	

დამსაქმებლებთან გამოკითხვა

ორგანიზაციის დასახელება:.....

კურსდამთავრებული:.....

N	კითხვა	პასუხი
1	სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ თუ არა შესაბამისი ცოდნა და კომპეტენციები,	

	<p>რაც საჭიროა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, რა საკითხების დამატებას ისურვებდნენ საგანმანათლებლო პროგრამაში ამ უნარების გასაძლიერებლად</p>	
--	--	--